მომხს: გ. ენუქიძე

<u>**პროექტი**</u>

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №

„-----“ მაისი 2020 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №8 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №8 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge, 09/03/2020, 010250050.35.163.016500).

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართის „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამა“ მე-5 მუხლს დაემატოს მე-7 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„7. კოხრეალური იმპლანტის მომხმარებელთა თანადაფინანსების ქვეპროგრამა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 18 წლამდე ასაკის სმენადაქვეითებული/კოხრეალური იმპლანტის მომხმარებელ ბავშვთა შიდა იმპლანტზე მიმაგრებული გარე მეტყველების პროცესორის ღირებულების თანადაფინანსებას. თანადაფინანსების ოდენობა თითოეულ ბენეფიციარზე განისაზღვრება 10,000 ლარით.

ა) ქვეპროგრამით სარგებლობის მიზნით წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

ა.ა) ბენეფიციარის წარმომადგენლის განცხადება;

ა.ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
ა.გ) ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი, ან დაბადების მოწმობის ასლი;
ა.დ) ბენეფიციარის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;
ა.ე) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა NIV-100/ა);
ა.ვ) მომსახურების მიმწოდებლის მიერ გაცემული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი;
ა.ზ) დასაფინანსებელ მომსახურებაზე სახელმწიფო პროგრამის, ან კერძო დაზღვევის ფარგლებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გაცემული დაფინანსების დამადასტურებელი დოკუმენტი;
ა.თ) საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს დამატებითი დოკუმენტაცია.

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართის „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამა“ მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) „სამედიცინო მომსახურების დაფინანსების“, „ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთა დაფინანსების“, „ბავშვთა სტომატოლოგიური მომსახურების დაფინანსების“ და „კოხრეალური იმპლანტის მომხმარებელთა თანადაფინანსების“ ქვეპროგრამების ფარგლებში გაცემული ადმინისტრაციული დაპირების საფუძველზე გაწეული მომსახურების წარმოდგენის ვადა შეადგენს ადმინისტრაციული დაპირების გაცემიდან არაუგვიანეს 45 კალენდარულ დღეს.“.

მუხლი 2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **არჩილი თხლაშიძე**

ქ. თელავი 27.05.2020 წ.

განმარტებითი ბარათი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №8 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებული პროექტი ეხება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №8 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის საკითხს.

ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანის მიზეზს წარმოადგენს ჯანდაცვის მიმართულებაში ახალი ქვეპროგრამის დამატება, რომელიც ითვალისწინებს კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციართა თანადაფინანსებას.

პროექტი მიზნად ისახავს თელავის მუნიციპალიტეტში კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე პირთა ფუნქციურ დამოუკიდებლობასა და მათი საზოგადეობაში ინტეგრაციის შეხლშეწყობას კოხლეარული იმპლანტის შეუფერხებელი მოხმარების უზრუნველყოფის გზით. კოხლეარული იმპლანტი გამოცდილი და ხარჯთეფექტური მაღალტექნოლოგიური პროდუქტია, რომელსაც „ხელოვნურ სმენას“ უწოდებენ. იმპლანტი, ისვე როგორც ნებისმიერი სხვა ციფრული ტექნოლოგია, ცვეთადია და 5 წლის განმავლობაში მოხმარების შემდეგ საჭიროებს ჩანაცვლებას. გარდა ამისა, იმპლანტის მოხმარება დაკავშირებულია მუდმივ ხარჯებთან, როგორიცაა ელემენტები და სადენები, რომლებიც ხშირად ზიანდება. არსებული სახელმწიფო პროგრამებით მსგავსი ხარჯები არ იფარება, ამიტომ ბევრი ოჯახი ვერ ახერხებს ბავშვის/ახალგაზრდის სათანადო მხადაჭერას.

თელავის მუნიციპალიტეტში იდენტიფიცირებულია კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე 2 პირი, რომლებიც სასწრაფოდ საჭიროებენ გარე პროცესორის შეცვლას. ღირებულება კონკრეტული პროცესორის შემთხვევაში შეადგენს 19 800 და 18 550 ლარს.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს შიდა იმპლანტზე მიმაგრებული გარე მეტყველების პროცესორის ღირებულების თანადაფინანსებას თითოეულ ბენეფიციარზე 10,000 ლარის ოდენობით.

ცვლილების პროექტის დამტკიცება გამოიწვევს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის მიზნობრივ გაზრდას.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე წარმდგენი გახლავთ თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი.